საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	*კულტურული ტურიზმი*
განათლების საფეხური	*უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი*
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	*ტურიზმის ბაკალავრი* **BACHELOR OF TOURISM**
პროგრამის მოცულობა ECTS	240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის ძირითადი კურსები - 125 კრედიტი. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 15 კრედიტი. დამატებითი minor სპეციალობა/არჩევითი კურსები/ბლოკები - 60 კრედიტი. სწავლება - 8 სემესტრი. 1 სემესტრი - 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1800 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე ჩაირიცხებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.
პროგრამის მიზანი	კულტურულ ტურიზმს თანამედროვე ტურისტულ ინდუსტრიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. საქართველოში და რეგიონში მიმდინარე ტურისტული ინფრასტრუქურის სწრაფი ტემპებით განვითარება, ტურისტთა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებს. ამდენად, ქვეყანაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურული ტურიზმის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხი. „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია: • კულტურული ტურიზმის თეორიული საფუძვლების სწავლება და ტურიზმის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ტურიზმის, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების დარგების სპეციფიკის საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით; • სტუდენტისათვის ტურიზმის დარგის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება და მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევათა გამომუშავება; •კულტურული ტურიზმის სფეროსათვის ტურიზმის ბაკალავრის მომზადება, რომლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა კულტურული ტურიზმის სფეროში პრაქტიკულ-პროფესიული და ანალიტიკური საქმიანობის წარმართვა; • თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის მომზადება, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მისი განხორციელება უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას კულტურული ტურიზმის მენეჯმენტის, ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებისა და კულტურის მომიჯნავე დარგების სპეციფიკის ცოდნით, შეასწავლის მათ კულტურული ტურიზმის სფეროს პროფესიული მართვის, ანალიზისა

	და კვლევის საბაზისო უნარებს, ძირითად ელემენტებს, მისცემს საბაზისო ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ კულტურული ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში გაცნობიერებას, ამ დარგების მთავარი პრინციპებისა და თეორიული ასპექტების საბაზისო ცოდნას მათი ეფექტურად გამოყენებისა და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის. „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის თემატიკა განისაზღვრება ტურიზმის ამ დარგისათვის აუცილებელი კომპონენტებით. უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობითი და დარგის მართვის სპეციფიკათა სინთეზი უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულების განსაკუთრებულობას კულტურული ტურიზმის საგანმანათლებლო სივრცეში.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა: მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში ● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე. ● დაუშვებელია პლაგიატი.
პროგრამის ხელმძღვანელები	ერმილე მესხია - პროფესორი, ნინო მამულაძე, ასოცირებული პროფესორი.

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სპეციალობის ძირითადი კურსები			**120**		**5**	**30**	**25**	**15**	**15**	**15**	**15**
B11g1		ტურიზმის მენეჯმენტი	5		5						
B11g2		ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები	4			4					
B11g3		ტურიზმის მარკეტინგი	5			5					
Hfc-20		ადამ. რეს. მარ. და საქ. წარ. საფუძვლები	4			4					
B11g5		ეთნოკულტურის საფუძვლები	5			5					
B11g6		ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები	3			3					
B11g7		საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები	4			4					
B11g8		ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები	5				5				
Hfc-21	B11g1	კულტურული ტურიზმი	5				5				
B11g10	B11g6	ბუღალ. აღრიც. და ანგარიშგების საფუძვლები	5				5				
B11g11	B11g2	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5				5				
B11g12	B11g8	საერთაშორისო ტურიზმის საფუძვლები	3					3			
B11g13	B11g3	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	4					4			
B11g14	B11g1 B11g2	სასტუმრო საქმის საფუძვლები	3					3			
B11g15	B11g9	საექსკურსიო საქმე	5						5		
B11g16	B11g3	საზოგადოებასთან ურთიერთობა	5						5		
B11g17	B11g1 B11g3	ტუროპერირება	5							5	
B11p-1		პრაქტიკა (ტ)	5							5	
B11g18-1		სპეციალური ინგლისური ენა 1	5			5					
B11g18-2		სპეციალური ინგლისური ენა 2	5				5				
		არჩევითი უცხო ენა	5					5			
		არჩევითი უცხო ენა	5						5		
		არჩევითი უცხო ენა	5							5	
		არჩევითი უცხო ენა	5								5
B11p-2		პრაქტიკა	5								5
B11g19		საბაკალავრო ნაშრომი(ტ)/თემატური ტური (ტ)	5								5
სპეციალობის არჩევითი კურსები			**5**				**5**				

B11oc1		ლოგისტიკა	5								
B11oc2		პროექტების მენეჯმენტი	5								
B11oc3	*B11g10*	მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა	5								
B11oc4	*B11g1 B11g2*	სამართლებრივი აქტები ტურიზმის სფეროში	5								
Hfc-22		ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი	5								
B11oc5		მხარეთმცოდნეობა	5								
B11oc6		ქვეყანათმცოდნეობა	5								
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები			***42***								
Hfc-1		შესავალი თეატრის ისტორიაში	5	5							
Hfc-2		შესავალი კინოს ისტორიაში	5	5							
Hfc-3		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში	5	5							
Hfc-4		შესავალი თანამედროვე აზროვნებაში	5		5						
Mfc-1		შესავალი მუსიკის ისტორიაში	5		5						
Afc-13		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	5							
Afc-15		მეტყველების კულტურა	7		7						
Hfc-5		შემოქმედების ფსიქოლოგია	5		5						
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			***13***	***8***	***5***						
ucBA1		აკადემიური წერა	3	3							
		ინგლისური ენა	5	5							
		ინგლისური ენა	5		5						
დამატებითი სპეციალობა - minor/არჩევითი ბლოკები/კურსები			***60***					***15***	***15***	***15***	***15***
სულ			***240***	***28***	***32***	***30***	***30***	***30***	***30***	***30***	***30***